# ცნობის ფურცელი

№ 1872 შაბათი, 20 ივლისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1872

ᲑᲐᲛᲔᲗᲘ ᲚᲘᲠᲡ: წელიწადში—6 მან.; თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ჯაბქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

**დაბა სურამში**

შაბათს, 20 ივლისს, 1902 წელს

პარკში, ლოტოევის თეატრში

ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ, ვ. გუნიას გამგებლობით და ქ.ქ. ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელისა; ბ.ბ. კ. ყიფიანის, ვ. გუნიას და კ. შათირიშვილის მონაწილეობით,

წარმოდგენილი იქნება

I

**დედის ერთა**

კომედია 1 მოქ. ვ. გუნიასი

II

✦ რუსულ ენაზე ✦

**თაგვის ბრალია**

ვოდევილი 1 მოქმ.

III

**ცხოველი სურათები**

IV

დასასრულ

**ცეკვა-თამაში**

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი და სამხედრო მუსიკა.

დასაწყისი 9 საათზე. გამგე-რეჟისორი ვ. გუნია.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**გ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

**ქ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

**გ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

**ბ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედ.-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**მ. ი. იანჩევსკი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**გ. მაღალაშვილი**—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები — მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვანიძისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.)

**ბორჯომში**

**ექიმი ვ. ღამბაშიძე**

იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

**ქ. გორში,**

**ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე**

**ცურიაშვილი,**

საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

**ფოთის საბუღალტერიო კურსები**

**ა. კ. გიგინეიშვილისა.**

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (ნ. 20—5)

**კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი**

ივანე პავლეს ძე

**ახალშენიშვილი**

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

**ე ქ ი მ ი**

ალექსანდრე გიორგის ძე

**მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდ-ე მიიღებს აგრეთვე საქმოლ: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუღაევის სახლი.

**ე ქ ი მ ი**

**ვ. ს. მუსხელაშვილი**

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

## საზღვარ-გარედ

**სამხრეთ-აფრიკა.** ბოტა და დელარეი კაპში მისულან და დღეს იქიდან ევროპაში აპირებენ გამგზავრებას. თუმცა მათ მოსვლის დროს მალავდნენ, მაგრამ სადგურზე მაინც დიდმა ხალხმა მოიყარა თავი დასახვედრად. ისინი დაესწრნენ ერთ მიტინგს, სადაც მოკლე სიტყვა წარმოსთქვეს. ხალხი დიდის ამბით მიეგება მათ. კერძოთ არავინ მიუღიათ სალაპარაკოდ. დელარეიმ, სხვათა შორის, თურმე სთქვა: „ჩვენ მიწაში დავმარხეთ ჩვენი მოზერები (თოფები) და არა ჩვენი ტრადიციები".

გაზეთები იუწყებიან, რომ იმ სიხარულმა, რომელიც ზავის შეკვრამ ჩამოაგდო ბურთა შორის, კვლავ ადგილი დაუთმო უკმაყოფილებასო. ამის შესახებ „ტაიმს"-ი ამბობს, რომ ეს ცვლილება სრულიადაც არ არის გასაოცარი, რადგან ჩვენ ადამიანებთან გვაქვს საქმე და არა ანგელოზებთან. ის აღტაცება, რომელიც ომის გათავებამ გამოიწვია, თავისთავად ძალიან სასიამოვნო იყო, მაგრამ, ცხადია, მსწრაფლ წარმავალი უნდა ყოფილიყო. აღტაცება დიდ ხანს ვერ გასტანდა და დიდი უბედურებისაგან განთავისუფლება ბურებს მხოლოდ დროებით თუ დაავიწყებდა იმ წვრილმან, მაგრამ უფრო მომაბეზრებელ ყოველ დღიურ უსიამოვნებას, რომელიც მათ მოელოდა. ნუ თუ გაბრაზების, წყენის და უნუგეშო შეწუხების გარდა სხვა რისამე მოლოდინი უნდა გვქონოდა იმ ხალხისაგან, რომელიც შესდგომია თავისი დაქცეული სახლების და ქოხების აღდგენას და ოფლსა ღვრის ამ მძიმე შრომაში? ადრე თუ გვიან ეს უკმაყოფილების დღე უნდა დამდგარიყო. ომისაგან განადგურებულ და უდაბნოდ ქცეულ მხარის აღდგენა ერთ დღეში და წესის დამყარება შეუძლებელია. მთელი სისტემა უნდა შეიცვალოს, ახალი პირობები უნდა დამყარდეს და, თქმა არ უნდა, ასეთი ცვლილება ვერც პოლიტიკური და და ვერც სოციალური მხრივ ვერ გამოიწვევდა ხალხის გულში მეგობრულ გრძნობებს. მაგრამ ყველა საჭირო ზომების სასტიკმა განხორციელებამ კიდეც რომ გამოიწვიოს ბურების უკმაყოფილება, იგი მაინც საუკეთესო საშუალება იქნება პირდაპირი აჯანყების თავიდან ასაცილებლად. ყოველი ნაბიჯი, რომელსაც კი საგნად აქვს რომელიმე ბურის ქონების აღდგენა, უეჭველია, მას მაინც რაღაცას აძლევს, და ამ რაღაცას იგი კვლავ დაჰკარგავს, თუ არეულობა განმეორდა. ყოველი დახმარება უთუოდ კეთილ ნაყოფს მოიტანს თავის დროზე, თუმცა დღეს, შეიძლება, ისე გვეჩვენოს, რომ იგი ვერ აშოშმინებს ბურების მწუხარებას და ვერ აამებს მათ გაბრაზებას. იმედი უნდა გვქონდეს მხოლოდ იმისი, რაც სამართლიანობით, ადამიანობით და ლიბერალური პოლიტიკით მოიპოვება, და არ უნდა ვიჩენდეთ მოუთმენლობას მოსავლის შესახებ, როდესაც ჯერ თესვა არ გაგვითავებია.

**საფრანგეთი.** დღემდის კლერიკალები მტკიცედ ადგნენ ლოიოლას მცნებას და ჩუმ-ჩუმად მოქმედებდნენ. დღეს კი კომბის ცირკულიარმა ისე გააბრაზა, რომ ძველი გზა დასტოვეს და „გულ-ახდილად" იწყეს მოქმედება. დაიწყეს დემონსტრაციების გამართვა და ცდილობენ ხალხში თანაგრძნობის მოპოებას... კრივით. მაგრამ, მათ საუბედუროდ, რესპუბლიკელებს და სოციალისტებს მუშტი უფრო მაგარი აქვთ და ამ მხრივაც კლერიკალები დამარცხებულნი დარჩნენ. მათ სურდათ დიდი მოძრაობა გამოეწვიათ მთელ საფრანგეთში, მაგრამ ვერ მოახერხეს. ცდილობდნენ ხალხისთვის დაემტკიცებინათ, რომ მთავრობა მათ უდიერად და უსამართლოდ მოექცა; რომ ამდენი და ამდენი „წმინდა დები" ულუკმა-პუროდ დაჰყარა, რომ მათ შიმშილით სიკვდილი მოელით და სხ... მაგრამ ასეთი ლათაიებით ძნელია ფონს გასვლა, რადგან მათმა მტერმაც და მოყვარემაც კარგად იცის, რომ იმდენი ფული არავისა აქვს, როგორც კონგრეგაციებს. კლერიკალ დეპუტატების ასარჩევად ამ ორი თვის წინად მილიონები დახარჯეს და ნუ თუ თავის თავს ვერ შეინახვენ? ეს რომ ასე არ იყოს, უეჭველია, ხალხში მეტ სიბრალულს და თანაგრძნობას გამოიწვევდნენ. ბერები და მონაზვნები აღთქმას სდებენ სიღარიბისას და მათზე მდიდრები კი არავინ არის; აღთქმას სდებენ უქორწინობისას და მათი გარყვნილება შემაძრწუნებელია; კაცთმოყვარეობის მაგიერ ადამიანის დევნა გაუხდიათ დევიზად და მთავრობის მორჩილებას მხოლოდ სხვებს უქადაგებენ,—თითონ კი, თუ უჯობსთ, მაშინვე აუჯანყდებიან კანონს. რესპუბლიკა და დღევანდელი სამინისტრო, არც წინანდელი, მართლა „მღვდლების მჭამელი" არ არის, როგორც კლერიკალები უწოდებენ. კანონს რომ დამორჩილებოდნენ და ნება ეთხოვათ, მაშინ ეს ამბები არ მოხდებოდა. მაგრამ ისინი პირდაპირ შეებრძოლნენ საერო საზოგადოებას და ეს ბრძოლა ჯერ-ჯერობით წააგეს.

უკანასკნელი დემონსტრაციების მოთხრობა საჭიროდ აღარ მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ მათ დიდი მნიშვნელობა და შედეგი არა ჰქონიათ-რა.

## ახალი ამბავი

✦ როგორც შევიტყვეთ, სატყეო დეპარტამენტში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ კავკასიაში **დაარსებულ იქმნას უმაღლესი სატყეო სასწავლებელი.** უნდა დაარსდეს აგრეთვე ტყის მცველთა მოსამზადებელი სკოლა.

✦ ამ დღეებში ზუბალაშვილის სახელობაზე განზრახულ **სახალხო სახლის საძირკველს ჩაჰყრიან** და აკურთხებენ. ამ სახლს აშენებენ ზუბალაშვილის მემკვიდრეების მიერ შეძენილს ადგილზე. ამბობენ, შენობა მდგომარე წლის დამლევამდე დამთავრდებაო.

✦ ტფილისის საგუბერნიო გამგეობის საამშენებლო განყოფილება შესდგომია ტფილისის გუბერნიაში **ახალის გზების გასაყვანად და ძველის შესაკეთებლად** საჭირო ხარჯის აღრიცხვას.

✦ ბეჭდვითის საქმის მთავარმა გამგეობამ თანახმად თხოვნისა, ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი დაამტკიცა „ივერიის" **რედაქტორად.**

✦ ხორცის სავაჭროდ გამგეობამ, როგორც ვუწყით, ორი დუქანი გამართა ტფილისში,—პუშკინის ქუჩასა და ნიკოლოოზის მოედანზე. კომისიას უკვე გადაუწყვეტია დუქნების გამართვა სხვა ადგილებშიაც. ერთი დიდი დუქანი გაიმართება ნიკოლოოზის ხიდთან, შემდეგ ვერასა, დიდუბესა, ავლაბარსა და ნაძალადევში.

✦ ხუთშაბათს, 18 ივლისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში, გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით, სხდომა ჰქონდა ხორცის **საქალაქო დუქნების** კომისიას. კომისიამ განიხილა მოხსენება ქალაქის დუქნების გამგესათვის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ და გადასწყვიტა დუქნების გამგეს ბ-ნს ალიხანოვს წელიწადში ჯამაგირად დაენიშნოს 2000 მან. ამავე სხდომაზედ კომისიამ განიხილა და დაამტკიცა წესი, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს დუქნებში შემოსავალ-გასავლის ანგარიშები. დასასრულ კრებაზედ აღიძრა საკითხი ვერაზედ ხორცის ქალაქის დუქნის დაარსების შესახებ. რადგანაც პრინციპიალურად უკვე გადაწყვეტილია, რომ ამგვარი დუქანი, სხვათა შორის, უნდა დაარსებულ იქნეს ვერაზედაც, კომისიამ გადასწყვიტა შეუდგნენ ეხლავე შესაფერ სადგომის გამოძებნას.

✦ კავკასიის წყალთა მეორე ოლქის საბჭომ ამ დღეებში გადასწყვიტა, **შუამდგომლობა აღძრას** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ ნება მიეცეს საბჭოს წყალთა ინსპექციაში თვალ-საჩინო საქმეების განხილვის დროს თავისი წარმომადგენელი იყოლიოს.

✦ ტფილისის სიფხიზლის საზოგადოების გამგეობამ, გადასწყვიტა რა **გამართოს საჩაიე შუაგულ ქალაქში** იარმუკის მახლობლად, სთხოვა ქალაქის გამგეობას, დაუთმოს ამისათვის საჭირო ადგილი.

✦ მცირე-წლოვან დამნაშავეთა მფარველ საზოგადოების გამგეობას განუზრახავს შეაკეთოს სოფ. ავჭალაში ამ დამნაშავეთა **ახალშენის შენობანი.** ამიტომ გამგეობას ქალაქის თავისთვის მიუმართავს და უთხოვნია მიეცეს ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებამდე ის 1600 მანეთი, რომელიც ამ საზოგადოების შესაწევად არის გადადებული.

✦ პეტერბურგში ნოემბერს, კნ. მარიამ შჩერბატოვის ინიციატორობით, გაიმართება ისტორიულ და ეხლანდელ **ქანისამოსის საერთაშორისო გამოფენა.** კნ. შჩერბატოვისა, ატყობინებს რა ამ ამბავს ტფილისის გუბერნატორს, სთხოვს ნება მისცეს ისარგებლოს გამოფენისათვის იმ ტანისამოსით, რომელიც ადგილობრივ მუზეუმებში ინახება. გუბერნატორმა ამ დღეებში მიწერილობა გაუგზავნა მაზრის უფროსებს და დაავალა აცნობონ ეს ამბავი ადგილობრივ მცხოვრებთ, რათა მსურველთ მონაწილეობა მიიღონ გამოფენაში.

✦ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ყოველ წლობით კავკასიის წყალთა გამგეობას აძლევს საჰიდრავლიკო-სატეხნიკო სამუშაოებისათვის 37,000 მანეთს. წყალთა მეორე ოლქის საბჭომ გარდასწყვიტა **შუამდგომლობა აღძრას** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ აღნიშნულ თანხიდან ერთი ნაწილი ამ საბჭოს მიეცეს თავის მოქმედებისათვის ჰიდრავლიკ-ინჟინერების დასაქირავებლად.

✦ მკითხველებმა იციან, რომ ვერაზე ტფილისის მართლ-მადიდებელთა სასულიერო სემინარია ახალს შენობას აკეთებს სემინარიის მოსათავსებლად. რადგანაც ამ სახლის აშენების იჯარადარმა იაკუბოვიჩმა ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლები დაარღვია, ამიტომ სემინარიის გამგეობამ საბოლოოდ გადასწყვიტა იჯარადარის დათხოვნა და კიდეც აღუკრძალა მუშაობის გაგრძელება.

✦ კავკასიაში 12 წელიწადია, რაც არსებობს **წყალთა სამმართველო**, რომელიც განაგებს რამდენსამე ოლქს. დღევანდლამდე თითოეულ ოლქის საზღვრები არ არის გამორკვეული. ამ დღეებში წყალთა მეორე ოლქის საბჭომ გადასწყვიტა იშუამდგომლოს კავკასიის მთავარ-მართებელთან, რომ წყალთა ინსპექციას დაევალოს მეორე ოლქისათვის საზღვრების აღნიშვნა.

✦ გაზ. „ოდესსკი ვედომოსტ.“-ის სიტყვით, ადესაში ამ ჟამად იმყოფება კნეინა — მათხოვარი **ელენე წულუკიძისა.** აი რას გადმოგვცემს გაზეთი ამ საბრალო ადამიანის შესახებ:

„კნეინამ კარგა ხანია მიატოვა „ბრწყინვალე საზოგადოებაში“ ცხოვრება. სხვა-და-სხვა გარემოებათა და უბედურ შემთხვევათა გამო კნეინა უკრონშოთ დარჩა. მეგობრებს არ მიჰმართა დახმარების სათხოვნელად და გადასწყვიტა სამშობლოდან სხვაგან წასვლა და საკუთარის შრომით ლუკმა-პურის მოპოვება. პირველ ხანებში კნეინას ნაზ ხელებს ძალიან უჭირდა მუშაობა, მაგრამ შემდეგ კნეინა ნელ-ნელა გაეჩვია და ლუკმა-პურს შოულობდა. ადესაში კნეინა მალავდა თავის ვინაობას და დღიურ სამუშაოს ჰპოულობდა. საცოდავი ისე ცოტა სასყიდელს იღებდა, რომ ოთახის ქირაობა არ შეეძლო და გლახაკთა ღამის თავშესაფარებში სცხოვრობდა. სამშობლოში (საქართველოში) კნეინას მდიდარი ნათესავები ჰყავს, მაგრამ მათ, როგორც კი გაიგეს, რითი სცხოვრობს კნეინა, შესწყვიტეს მასთან კავშირი. უკანასკნელ დროს კნეინა ელენეს მეტად მოსწყინდა და სამშობლოში დაბრუნება მოინდომა. დიდის ტანჯვისა და შრომის შემდეგ კნეინამ მოაგროვა 12 მან. და 50 კაპ. და დააპირა საქართველოში წასვლა. მაგრამ დახედეთ, ბედმა როგორ უღალატა! 8 ივლისს კნეინა ბინისაკენ მიდიოდა სამუშაოდან; მალოფონტანკის ქუჩაზე მას უეცრად თავს დაესხა ბოროტ-მოქმედი და წაართვა ვაი-ვაგლახით შეგროვილი ფული. კნეინა პოლიციაში გაიქცა და იქ განაცხადა თავის უბედურების ამბავი.“

✦ ტფილისის **გუბერნატორი**, პოლკ. სვეჩინი ყირიმში წავიდა.

✦ საკონტროლო პალატის გამგე წავიდა იმ დაწესებულებათა **სარევიზიოდ**, რომელნიც ამ პალატას ექვემდებარებიან.

✦ **განჯის თვით-მმართველობას** შუამდგომლობა აღუძრავს ამ ქალაქზე დარჩენილ გადასახადის (3000 მან.) პატიების შესახებ.

✦ საბჭოს მკურნალმა შავერდოვმა, დაათვალიერა რა „კავკაზის“ სასტუმროს სამზარეულო, ჰპოვა იქ უვარგისი და დამპალი საჭმელები. ოქმი შეადგინა და პასუხის-გებაში მისცა სასტუმროს პატრონი.

✦ ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიის დირექტორი საყოველთაოდ აცხადებს, რომ მომავალს 1902—1903 სასწავლო წელს პირველს, მეორე, მესამე, მეექვსე და მერვე კლასებში **მოსწავლეებს არ მიიღებენ** ვაკანციების უქონლობის გამო („კავკ.“).

✦ „კავკაზს“ დეპეშით ატყობინებენ ბათუმიდან, რომ 15 ივლისს დიდმა ნიაღვრებმა მდინარე სათვრიხელის თრ-საჟენიანი ხის ხიდი ბათუმ-ახალციხის გზის 102 ვერსზე წაიღო, რის გამოც აღნიშნული გზა შეკრულია.

✦ იმავე გაზეთს ატყობინებენ აბასთუმნიდან, რომ 15 ივლისს სამხედრო—ზეკარის გზაზე 56-დან 61 ვერსამდე დიდმა ნიაღვარმა ოთხი ხიდი წაიღო და ორასი საჟენი გზა წაახდინა. გზის შეკეთებას უკვე შესდგომიან.

✦ რაც ბაკურიანის რკინის გზა გაიხსნა, მანამდის არსებული სადგურ ბორჯომსა და რემერტის ტბორს შუა ცხენის რკინის გზა გააუქმეს და მის მაგიერ მატარებლებმა დაიწყო სიარული. ამ მატარებლებით სიარულისთვის საზოგადო საშგზავრო ტარიფი არსებობს: პირველი კლასის ბილეთი ღირს 23 კაპ., მეორესი 14 და მესამისა—9 კ. რადგანაც ეს ფასები ამიერკავკასიის რკინის გზების გამგეობამ მომეტებულად დაინახა, ამის გამო მიჰმართა გზათა სამინისტროს შუამდგომლობით, რომ ბილეთების ფასი დაკლებულ იქმნას. ამ ჟამად გზათა სამინისტროს ეს შუამდგომლობა შეუწყნარებია. ეხლა ბილეთები ღირს: პირველის კლასისა—10 კაპ., მეორესი—8 კ. და მესამესი—5 კაპ. („კავკაზი“).

✦ სადგურ ყვირილიდან იუწყებიან, რომ 18 ივლისს, როდესაც სადგურზე შემოდიოდა მატარებელი, უბილეთოდ მომავალი მგზავრი გლეხი ფუშკარაძე მატარებლიდან გადმოვარდა და ვაგონებ ქვეშ მოჰყვა, რის გამოც თვალმა მარჯვენა ფეხის ქუსლი დაუმსხვრია.

✦ ფოთიდან იტყობინებიან, რომ საბეითალო სახლში, 18 ივლისს, უცბად გარდაიცვალა ახალგაზდა კაცი, 25 წლისა, სენაკის მაზრის გლეხი ნიკო სოფრონისძე თევდორაძე.

✦ ყარსის გზის სადგურ ამამლიდან იტყობინებიან, რომ 18 ივლისს, გაუფრთხილებლობისა გამო, ვაგონიდან ჩამოვარდა მესამე კლასის მგზავრი, ყუბანის ოლქის მცხოვრები მათე სალიჩევი. როდესაც მატარებელი გააჩერეს და გადმოვარდნილის მისაშველებლად წავიდნენ, საბრალოს უკვე განეტევებინა სული.

✦ გუშინ, 19 ივლისს, ტეხნიკოსთა კომისიამ დაათვალიერა ნაზარბეგოვის სახლი მეოთხე საპოლიციო უბანში და საშიშოდ სცნო იგი იქ მცხოვრებთათვის, რადგანაც გვერდით საძირკველსა სთხრიან და სახლს წამოქცევის შიში აქვს. კომისიამ დაავალა სახლის პატრონს, კედელს ბოძები შეუყენოს.

✦ ქვემო ავჭალის ერთს მედუქნეს, ივანე აბაშიძეს, 15 ივლისს შეჰპარვია დუქანში ვიღაც ბოროტ-განმზრახველი, რომელსაც მოუპარავს ფულად 30 მან. და 2 საათი და მოსამსახურის ჩემოდანი, რომელშიაც სხვა და სხვა ნივთები ჰქონია.

## ცხინვალის უბედურება

აი, კიდევ რას ატყობინებენ გაზეთებს ცხინვალში ცეცხლის გაჩენის შესახებ.

ცეცხლი გაჩენილა ნაშუადღევის პირველ საათზე და საღამოზე დიდი ნაწილი ებრაელთა უბნისა უკვე გადამწვარი იყო. ებრაელთა უბანში სულ 400 სახლი ითვლებოდა, აქედან 300 სახლი გადაიბუგა. სახლებს გარდა უმრავლესობამ დაჰკარგა მთელი თავისი ქონება. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ერთი ებრაელი დედაკაცი ყოფილი. ზოგი ამბობს, ეს დედაკაცი მურაბას ხარშავდაო, ზოგი კიდევ—სარეცხს ჰრეცხდაო. ასე თუ ისე, ანთებულ ცეცხლიდან ავარდნილ ალი მოსდებია ხის შენობას, გაძლიერებულა და ქარის შემწეობით ერთის სახლიდან მეორეზე გადასულა. ებრაელთა უბანში სახლები ერთმანეთზე იყო მიკრული, ამიტომ ცეცხლი ხელად გადადიოდა ერთიდან მეორეზე. პირველ ხანს ცეცხლის გასაქრობად ვერა ეღონათ-რა. მხოლოდ ცოტა ხანს შემდეგ ბოქაულს კანჩელს შეუკრებია ხალხი და დაუმწკრივებია ლიახვამდე, საიდანაც ერთი-ერთმანეთს წყლით სავსე ვედროებს აწვდიდნენ. ამ წყლით სხვა უბანში ცეცხლს აღარ უშვებდნენ. ბოქაულს ამ აზრით არხების წყლითაც უსარგებლნია.

გუბერნატორმა, მოსვლისათანავე, გადარჩენილ ქონებას დარაჯნი დაუყენა. დააპატიმრეს რამდენიმე ოსი, რომელთაც მოპარული ნივთები მიჰქონდათ თურმე. გუბერნატორის ბრძანებით დააპატიმრეს აგრეთვე ოსთა სოფლების მამასახლისი, რომელსაც არაფერი ეღონა ქურდთა ასალაგმავად.

დაშავებულთ მაშინვე სამკურნალო შემწეობა აღმოუჩინეს. ერთი ებრაელი დედაკაცი, მძიმედ დაშავებული, მეორე დღესვე გარდაიცვალა. ზოგი დაშავებული ცხინვალის სასოფლო-სამკურნალოში დააწვინეს, ზოგი კიდევ—ნათესავების სახლებში.

დაზარალებულნი, შვიდის ქართველის გარდა, ებრაელნი არიან. თითქმის ყველანი წვრილმან ვაჭრობას მისდევდნენ სოფლებში. ბევრს სავაჭრო საქონელიც დაეწვა და ეხლა აღარ იციან, რითი უშველონ და როგორ მოუარონ თავს.

როგორც ვუწყით, გორის მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით, კომიტეტი შესდგა შემოწირულებათა შესაკრებად და დაზარალებულთა დასახმარებლად. კომიტეტის წევრებად არიან: მომრიგებელი მოსამართლე, მართლ-მადიდებელთა და სომეხ გრიგორიანთა მღვდლები, ებრაელთა ხახამი, ადგილობრივი მემამულე თავ. ფავლენიშვილი, ბოქაული, ადგილობრივი მამასახლისი და დაბის რამდენიმე მცხოვრები. შემოწირულებას იღებს როგორც ეს კომიტეტი, ისე გუბერნატორის კანცელარია.

## ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის საბჭოს მდივნად არჩეულმა ვ. ნ. კანდელაკმა აბასთუმნიდან წერილით აცნობა ქალაქის თავს, რომ უარს ვამბობ მდივნის თანამდებობაზედაო. ამნაირად, ქუთაისის ისედაც მცირე-რიცხოვანი გამგეობა სექტემბრამდის უმდივნოდ უნდა დარჩეს.

✦ ერთის აქაურის კერძო ვექილის მიერ რკინის გზაზე ჩადენილ შემაძრწუნებელ საქციელით ქალაქი მეტად აღშფოთებულია, მაგრამ, სანამ საქმე გამოირკვეოდეს, იძულებულნი ვართ გავჩუმდეთ.

✦ მთავრობის მიერ დანიშნული თავმჯდომარე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა ბ-ნი მელნიკოვი გუშინ წინ, 18 ივლისს, პეტერბურგს წავიდა ბანკის საქმეების გამო.

✦ ქუთაისის უძრავ მამულების ახლად არჩეული დამფასებელი კომისია ამ თვის 25 დან შეუდგება თავის თანამდებობის ასრულებას.

✦ წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის კიოსკში ვაჭრობა დროებით შეჩერებულია, რადგან ჯერ-ჯერობით ვერ მიიღეს ნებართვა, რომელსაც დღე-დღეზე მოელიან.

✦ ქუთაისის სასაკლაოზე ამდენ ხანს საქონელი წინა დღით იკვლებოდა, თითქმის შუადღეზე. რადგან სიცხეების გამო ხორცი მეორე დღემდის ფუჭდებოდა, ამიტომ ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ შუა აგვისტომდის საქონელი დილ-დილობით იკვლებოდეს. თუმცა დილას დაკლული სა-

# ფელეტონი

### მეღვინეობა და მევენახეობა ჩვენში

### II *)

#### გორისა და დუშეთის მაზრები

მეღვინეობა და მევენახობა ამ მაზრებში ყველგან არ შეიძლება, რადგანაც ბევრგან ჰავა, ნიადაგი და სხვა პირობა ხელს არ უწყობს. არის ისეთი ადგილებიც, სადაც არამც თუ მევენახეობა, პურის თესვაც არ შეიძლება; ამისთანა ადგილებში მცხოვრებნი საქონლის მოვლა-მოშენებას მისდევენ. იმ ადგილებში, სადაც პირობანი ხვნა-თესვას ხელს უწყობენ, ბაღოსნობასა და მევენახობას დიდი ადგილი უჭირავს. ზოგგან მეღვინეობა ერთად ერთი შემოსავლიანი წყაროც კი არის მცხოვრებთათვის. ასეთია გორის მაზრაში: ატენის ხეობა, ხიდისთავი, მეჯვრის ხევი, მეტეხი, ლამისყანა, ტეზი, ძეგვი და აღმოსავლეთ ქართლის სოფლები. 1).

დუშეთის მაზრაში განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია: მუხრანი, დამპალა, ქოპორტა, ბიწმენდა და სხ., ის სოფლები, რომელნიც არაგვისა და ქსნის ბოლოზე [2] მდებარეობენ. არის ისეთი სოფლებიც, სადაც მეღვინეობას თუმცა პირველი ადგილი არ უჭირავს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა კი აქვს მცხოვრებთათვის. გორის მაზრის ჩრდილოეთ დასავლეთ ნაწილში თუმცა ბუნება ხელს ვერ უწყობს ვაზის კულტურას, მაგრამ მცხოვრებნი მაინც აშენებენ ვენახებს, ეწევიან ხარჯს წამლობისათვის, რათა ულვინოდ არ დარჩნენ მძიმე სამუშაოების დროს.

რათა უფრო გავითვალისწინოთ მევენახობის მდგომარეობა ქართლში, მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობებს იმის შესახებ, რამდენი ვენახია ქართლში და მატულობს თუ კლებულობს სივრცე ვენახებისა. ფლოროვსკის ცნობებიდან, რომელმაც წარსულ საუკუნის მე-30 წლებში ასწერა გორის მაზრა ეკონომიურად, სჩანს, რომ რიცხვი ვენახისა ამ მაზრაში ყოფილა 4,500; სივრცე ამ ვენახებს ჰქონიათ 657 დესეტინა. დუშეთის მაზრაში, იმავე ავტორის ცნობებით, ყოფილა 900 ვენახი, სივრცით 600 დესეტინა. მთელ ქართლში 5,400 ვენახი ყოფილა, სივრცით 1,257 დესეტინა. როგორც „კავკასიის მეღვინეობის მიმოხილვიდანა“ [3]) სჩანს, მე-70 წლებში სივრცე ვენახებისა გორის მაზრაში ყოფილა 1,800 დეს., დუშეთის მაზრაში 1,200 დეს., ორივეში ერთად 3,000 დეს.; ასე რომ ვენახის სივრცე 40 წლის განმავლობაში გასამდა. იმ უკანასკნელ ცნობებიდანა, რომელიც საფილოქსერო დასმა შეჰკრიბა, 1891—1896 წლებში, სჩანს, რომ გორის მაზრაში ამ დროს ყოფილა 17,995 ვენახი, სივრცით 5,086 დესეტინა, ხოლო დუშეთის მაზრაში 2,612 ვენახი, სივრცით 1,366 დეს., მთელ ქართლში—20,000 ვენახი, სივრცით 6,450 დეს.[4])

აქედან სჩანს, რომ ვენახების სივრცეს 20 წლის განმავლობაში ორჯელ უფრო მეტად უმატნია, ვიდრე 70 წლებში იმატა. უნდა აღვნიშნოთ, რომ გორის მაზრას უფრო მოემატა, ვიდრე დუშეთისას. 80% მთელის ქართლის ვენახებისა გორის მაზრაშია და 20% დუშეთისაშია.—ამ რიგად მეღვინეობას უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონია გორის მაზრისათვის, ვიდრე დუშეთისათვის.

იმის და-მიხედვით, თუ როგორი ადგილობრივი, ბუნებრივი და ეკონომიური პირობებია გორის მაზრის სხვა-და-სხვა ნაწილში, ვენახის რიცხვიც სხვა-და-სხვა ნაირად მატულობს; მაგალითად, მაზრის დასავლეთ ნაწილში, სურამის საბოქაულოში, 6 წლის განმავლობაში ვენახის სივრცეს მოემატა 14%.[5]) თუმცა სურამის საბოქაულოში ადგილობრივი და ბუნებრივი პირობანი ხელს არ უწყობენ მევენახეობას, მაგრამ მცხოვრებნი მაინც აშენებენ ვენახებს, ამიტომ იგი შესამჩნევად მატულობს. მიზეზი ის არის, რომ ამ საბოქაულოში დიდი სივიწროვეა მიწისა და ხვნა-თესვა იმდენ შემოსავალს ვერ იძლევა, რამდენსაც მევენახეობა; ასე რომ ამ ნაწილში მევენახეობა ეკონომიურის პირობებითთაა გამოწვეული. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ე. ი. ბორჯომის საბოქაულოში, 80—90 წლ. ბევრი ვენახი გააშენეს იმერლებმა, რომელნიც გადასახლდნენ იქ მიწის სივიწროვის გამო და რომელთაც თავის საყვარელ ვაზის გაშენებას მიჰყვეს ხელი, თუმცა ადგილობრივი პირობანი ვენახის კულტურას ვერ ეწყობიან. აქაც, როგორც სურამის საბოქაულოში, ეკონომიურის პირობებით არის გამოწვეული მევენახეობა.

გორის მაზრის აღმოსავლეთ ნაწილში უფრო დიდი ადგილი უჭირავს მევენახეობას, რადგანაც იმას ხელს უწყობენ ადგილობრივი, ბუნებრივი და ეკონომიური პირობანი. მევენახეობა დიდ-სარგებლობასაც აძლევს მცხოვრებთ; 3—4 წლის განმავლობაში ვენახის სივრცეს ემატება 15%—30% [6]).

ახლა გამოვიანგარიშოთ ერთის წლის მოსავალი რას იძლევა ქართლში.

მთელ ქართლში 6,450 დესეტინა ვენახია. საშუალო მოსავალი ერთი დესეტინისა 240 ვედროა, [7]) საშუალო ფასი ვედრო ღვინისა 1 მ. 20 კ., სულ იქნება 1,857,600 მან. გორის მაზრას ამ ფულიდან ჰხდება 1,462,076 მ., თითქმის 80%, ხოლო დუშეთის მაზრას 395,524 მანეთი.

ამ მოკლე მიმოხილვიდან სჩანს, რომ მევენახეობას საპატიო ადგილი უჭირავს გორისა და დუშეთის მაზრებში, განსაკუთრებით კი გორისაში.

როგორც ვუწყით, ამ მაზრებში მიწის სივიწროვეა, ამიტომ მოსალოდნელია, რომ მევენახობა მომავალში უფრო დიდ ადგილს დაიჭერს, თუ-კი ხელის შეწყობა ექნება.

ამ მაზრების ღვინოს, როგორც ტფილისისა, ისე კავკავის ბაზრები თხოულობენ; იგზავნება იგი აგრეთვე იმერეთისა და ახალციხისაკენ. გორის მაზრა გზების მხრივ კარგ პირობებშია: რკინის გზა ახლოა და ლიანდაგამდეც კარგი გზებია. ეს გარემოება უფრო იზიდავს ვაჭარს, რადგანაც გადასატანი ფასი ცოტა უჯდება.

თუ არ განვითარდა ტეხნიკა მეღვინეობისა, თუ არ გაიაფდა ადგილობრივი ღვინო და თუ უკეთესის ხარისხის ღვინოები არ დადგა, მომავალი და დღევანდელი ბაზრები იმისათვის დაკარგული იქნება და ისედაც

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1870.

1) იხ. „Сбор. св. по виноград. и винод. на Кавк.“ вып. VIII, გვ. 20.

2) იქვე.

3) Очеркъ винод. Кавк. изд. Кавк. стат. Комитета.

4) „Сборн. св. по виногр. и вин., вып. VII—96 წ., გვერდ. 23.

5) „Отчетъ сурамо-цхинвальской партiи“ 1895 წლ. გვერდი 217.

6) „Отчетъ горiйско-душет. партiй за 1892 г.“

7) „Сборн., св. по виногр. и винод. на Кав. за 1897 г.,“ Вып. VII, გვერდი 107.

ქონლის ხორცის ქალაქში მოტანა ცოტათი გვიანდება, მაგრამ ნაადრევ ცუდს დაგვიანებული კარგი სჯობია.

✦ თუმცა ქუთაისს ეხლა ქუჩების სარწყავი ბოჭკები ბლომადა აქვს, მაგრამ ქუჩები მაინც არ ირწყვება. პოლიცია, რომლის განკარგულებაშიაც ბოჭკებია, ტფილისის ქუჩას, რომელზედაც მისვლა-მოსვლა გაუწყნარებელია, კვირაში მხოლოდ ერთჯერ რწყავს, ესეც უთუოდ სათქმელად, რომ რკინის გზით მოსულ სტუმრებს გააგებინოს, ქალაქს ბოჭკები აქვს. სხვა ქუჩებს კი, თითქოს მათზე არ იყოს მტვერი, მორწყვას არ ალირსებენ.

✦ 16 ივლისს შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა აქ. ბ. ბუგულოვმა სასიკვდილოდ დასჭრა სოფელ ჩუნეშის მცხოვრები თავადი ანდრია ზლატონის ძე ლორთქიფანიძე. საქმე ამნაირათ ყოფილა: თავ. ლორთქიფანიძე და ბუგულოვი გასართობ სახლში ყოფილან. ბუგულოვს ამხანაგები ჰყოლია და რადაც მიზეზით მოუთხოვია, რომ ლორთქიფანიძე კარში გასულიყო. ლორთქიფანიძეს ასეთი მოთხოვნილება არ შეუსრულებია და ბუგულოვს ამის შემდეგ ლორთქიფანიძისათვის ქუდი მოუტაცნია და იქავე ჭაში ჩაუგდია, გარდა ამისა ბუგულოვს სხვა წესიერებაც დაურღვევია—დაუწყია იქაურობის მტვრევა და სხვა.

ლორთქიფანიძეს პოლიციელი მიუწვევია და უთხოვნია დამნაშავე პოლიციაში წაიყვანეთ, თვითონ-კი ეტლი დაუჭერია და წასულა პოლიციისაკენ. მერე ეტლში ბუგულოვი და იმისი ამხანაგები ჩამსხდარან და გამოჰკლგომიან პირველს. როცა მიახლოვებიან, ბუგულოვი ლორთქიფანიძის ეტლში გადამხტარა, უძგრია რევოლვერი, პოლიციელს ხელი უტაცნია, იარაღი ხელიდან ძირს დაუგდებინებია და ამ დროს გავარდნილა კიდეც. შემდეგ ბუგულოვს ამხანაგის ხანჯალი ამოუძგრია და ლორთქიფანიძისათვის კიბკიბასთან ჩაურტყამს. ხანჯალი ოთხ ვერშოკამდე ჩასულა და კიდეც დაუტრიალებია.

ბუგულოვი პოლიციამ სამხედრო საქმეთა უფროსს გადასცა. გამოძიება ჰსწარმოებს. ლორთქიფანიძე თოფურიას სამკურნალოში წევს; მორჩენის იმედი ცოტა აქვთ.

✦ ჩვენი ქუთათური კორესპონდენტი გვწერს: „გისწრაფვი გაასწორო ის შეცდომა, რომელიც დაბეჭდილია „ცნობის ფურცლის“ 14 ივლისის ნომერში, ქუთაისის ახალ ამბებში: გამგეობის წევრად ნამყოფი ი. გ. ჩიმაკაძე განათავისუფლეს მხოლოდ ერთი ბრალდებისაგან, რომელიც ეხებოდა მას თეატრის საქმეში; დანარჩენ საქმეებში კი, როგორც ეს, ისე ძველი გამგეობის დანარჩენი სხვა წევრებიც ისევ პასუხის გებაში არიან.“

✦ 15 ივლისს, საღამოს 10—11 საათზე, ერთ მეფურნეს ჯაჭვის ხიდთან შეუვარდა ვიღაც ამოღებულის ბებუთით და უთხრა: „რაც ფული გაქვს, მომეცი, თორემ მოგკლავო“. მეფურნემ არ იცოდა რა ექნა და, მის იღბალზე ამ სცენას მიასწრო ერთმა გამვლელმა. შეიტყო, თუ არა ამბავი, საჩქაროდ პოლიციელი მიიწვია. ღამის რაინდმა თავს უშველა, მაგრამ თან დაედევნენ და მალე დაიჭირეს. იგი რამდენსამე ენაზე ლაპარაკობს. პოლიციას ჯერ ვერ გამოუკვლევია მისი ვინაობა.

ამ ბოლოს დროს მაინც ძრიელ შესამჩნევად გავრცელდა ქუთაისის ქუჩებში ცარცვა-გლეჯა. ამდენი ცუდად-მავალი ხალხი, რამდენიც ამ ბოლო დროს ქუთაისშია და ყავახანა-სამიკიტნოებში იფარებიან, არასოდეს არ გვინახავს.

## რუსეთის ქრონიკა

✦ მომავალ შობი[...] ღ[...]ესას[...]ულის დროს მოს[...]ო[...]ში კრება ექნებათ რუსეთის სხვადასხვა კუთხეში არსებულ იმ საზოგადოებათა წარმომადგენლებს, რომელთაც ა[...]რად მასწავლებელთა დახმარება-შემწეობა აქვთ.

✦ განმეორებითი ეგზამენები პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტში დაიწყება 20 აგვისტოს და დასრულდება 15 სექტემბერს. მისაღებ ეგზამენები დაჭერა მხოლოდ იმათ შეუძლიანთ, ვინც პირველ აგვისტომდე თხოვნები შეიტანეს და ნებართვა მიიღეს. გამოსაცდელ კომისიაში ეგზამენები დაიწყება 10 სექტემბერში.

✦ პეტერბურგში, ტავრიდის სასახლეში, 1904 წელს უნდა გაიმართოს სრულიად სლავიანთა სამხატვრო-სამრეწველო გამოფენა. საორგანიზაციო კომიტეტის გამგედ ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ვ. ი. კოვალევსკია. გამოფენას ეტნოგრაფიული ხასიათი ექნება. მონაწილეობას მიიღებენ, რუსეთის გარდა, სერბია, ბოლგარია, ჩეხია, ჩერნოგორია და სხვანი.

✦ საინტერესო ამბავს გადმოგვცემს „სამარკ. გაზეთი“. წელს თავდება გაზეთ „პეტერბ. ვედომოსტის“ იჯარის ვადა. როგორც ვუწყით, ეს გაზეთი დღეს თავად უხტომსკის ხელშია. მომავალ წელს გაზეთი სხვის ხელში გადადის ღ მთელი რედაქციაც იცვლება.

✦ როგორც საქარხნო ინსპექტორის ანგარიშიდანა სჩანს, პეტერბურგში სულ 631 ქარხანა ყოფილა, სადაც 133,361 მუშა მსახურებს.

### მუშათა არტელების ახალი წესდება

(უმაღლესად დამტკიცებული 1902 წ. 1 ივნისს*)

13. არტელს განაგებს წევრთა საზოგადო კრება, რომელიც საქმის საწარმოებლად და განკარგულებათა მოსახდენად თავის წევრთა შორის ირჩევს ამისათვის საჭირო კაცებს. წესდებაში შეიძლება აღინიშნოს, რომ საზოგადო კრების მაგიერობა რწმუნებულთა კრებამ გასწიოს.

14. საზოგადო კრებაზე ყველა წევრს თითო ხმის უფლება აქვს. არ დამსწრე წევრს შეუძლიან ხმა გადასცეს მხოლოდ არტელის წევრსავე წესდებაში აღნიშნულ პირობებით.

15. კრება კანონიერად ითვლება, თუ არტელის წევრთა ნახევარი მაინც შეიკრიბა (ამ შემთხვევაში გადაცემული ხმებიც ითვლება). საქმეები უბრალო ხმის უმრავლესობით უნდა გადასწყდეს. არტელის წევრთა ორ-მესამედის დასწრება საჭიროა შემდეგის საქმეების გადასაწყვეტად: დამატება ან შეცვლა წესდებისა, არტელის წევრთა დათხოვნა, თანამდებობის კაცთა დათხოვნა სამსახურის ვადამდე, სესხის აღება, არტელის გაუქმება და საქმეთა ლიკვიდაცი. ჩამოთვლილ საქმეთა შესახებ დადგენილებას ძალა მაშინ აქვს, თუ იგი მიღებულ იქმნა დამსწრე წევრთა ორ-მესამედის უმრავლესობით. წესდებაში შეიძლება წინ-დახედულ იქმნას სხვა საქმეებიც, რომელთა გადასაწყვეტად ზემოდ აღნიშნული უმრავლესობაა საჭირო.

16. საწევრო გადასახადი შეიძლება შეტანილ იქმნას როგორც ფულად, ისე არტელისათვის საჭირო ნივთებით.

17. საწევრო გადასახადი ერთნაირი უნდა იყოს არტელის ყველა წევრისათვის; განაწილება აღებულ ფულისა, საზოგადო კრების დადგენილებით, უნდა მოხდეს იმის-და-კვალობაზე, ვის რა შრომა გაუწევია არტელის სამუშაოებში.

18. არტელი მთელის თავის ქონებით პასუხის-მგებელია ნაკისრ-ვალდებულებათათვის. იმანვე უნდა აგოს პასუხი, თუ არტელის წევრებმა ან დაქირავებულმა კაცებმა მოვალეობა რიგიანად არ შეასრულეს და ზარალი მიაყენეს არტელის წევრებს. ზარალი არტელს შეუძლიან გამოურიცხოს იმათ, ვინც ზარალის მიზეზი იქმნება.

20. ურთი-ერთის თავმდებობით პასუხისმგებლობა თანასწორად უნდა განაწილდეს არტელის წევრთა შორის, თუ წესდებაში არ არის აღნიშნული სხვა საფუძველი პასუხის-მგებლობის განაწილების. თუ ვინიცობაა რომელმამე წევრმა ხვედრი გადასახადი ვერ შეიტანა, ეს გადასახადი თანასწორადვე უნდა განაწილდეს დანარჩენ წევრთა შორის; იმ წევრებს, რომელნიც სხვა წევრების მაგიერ გადაიხდიან, უფლება აქვთ ამ უკანასკნელთ მოსთხოვონ ფული.

21. არტელში შესული წევრი პასუხისმგებელია იმ ვალდებულებათათვის[...], რომელიც არტელმა იმის შესვლამდე იკისრა.

22. არტელის ქონებისა და თანხიდან არ შეიძლება გასტუმრებულ იქმნას კერძო წევრთა ვალები.

23. კერძო ვალი წევრისა, აგრეთვე ყოველგვარი მოვალეობა იმისა შეიძლება დაკმაყოფილებულ იქმნას იმ ფულიდან, რომელიც წევრს მისაღები აქვს არტელისაგან; ამასთან დაცულ უნდა იქმნას ის პირობანი, რომელიც აღნიშნულია მრეწველობის შესახებ წესდების მე-100 მუხლში (კანონთა კრებული, ტ. მე-XI, ნაწ. 2, გამოც. 1893 წელს).

24. იმ არტელის წევრებს, რომელნიც არ შეასრულებენ ნაკისრ მოვალეობას ან წესდების წესებს, ცუდად მოიქცევიან ან საქმეს მუყაითად არ მოეკიდებიან, ზემოდ აღნიშნულ პასუხის-მგებლობის გარდა, შეიძლება, წესდების თანახმად, გამოეცხადოთ საყვედური, დაედოთ ჯარიმა, დროებით და სამუდამოდ დათხოვნილ იქმნან არტელიდან.

25. წასულ ან გამორიცხულ წევრს წესდებაში აღნიშნულ ვადაზე ეძლევა კუთვნილი ფული; ამ ფულს უნდა გამოეკლოს დარჩენილი გადასახადი და ზარალის სანაზღაურო (თუ კი აღმოჩნდა). ამისდა მიუხედავად, წასული ან გამორიცხული წევრი ერთის წლის განმავლობაში, თუ წესდებით მეტი დრო არ არის აღნიშნული, სხვა წევრებთან ერთად პასუხის მგებელია წასვლამდე ნაკისრ მოვალეობათათვის.

26. არტელი უქმდება: 1) თუ ის ვადა დასრულდა, რომლისთვისაც დაარსებულია; 2) თუ ის მუშაობა გათავდა, რომლისთვისაც დაარსებულია; 3) თუ არტელის წევრთა საზოგადო კრებამ დაადგინა გაუქმება; 4) თუ გუბერნატორმა შეამჩნია, რომ მოქმედება არტელისა ეწინააღმდეგება წესდებას ან არსებულ კანონებს და მოითხოვა იმის გაუქმება.

27. თუ არტელი გაუქმდა, იმისი ქონება წევრთა შორის უნდა განაწილდეს ან ისე იქმნას მოხმარებული, როგორც წესდებაში იქმნება აღნიშნული, ხოლო თუ წესდებაში ამაზედ არაფერია, კრებამ უნდა გადასწყვიტოს, როგორ მოიხმაროს ქონება.

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1871.

## დაბა-სოფლები

**ხაშური** (გორის მაზრა). ხაშურში რამდენიმე ხორცის დუქანია, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, არც ერთს დუქანში არ იყიდება კარგი

---

გაჭირვებული მცხოვრებნი უფრო დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდებიან.

### III

#### ქუთაისისა და შორაპნის მაზრები

ტფილისის გუბერნიის მევენახობის მოკლე მიმოხილვის შემდეგ გადავიდეთ ქუთაისის გუბერნიაზე. ვიმეორებ, მოკლე მიმოხილვის შემდეგ მეთქი, რადგანაც ამ საქმის ვრცლად განხილვას ჯერ-ჯერობით, სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, ვერ შევუდგები. ესეც არ იყოს, აზრი ჩემის წერილისა სულ სხვაა.

ქუთაისისა და შორაპნის მაზრებს მეღვინეობაში პირველი ადგილი უჭირავთ. ქუთაისის მაზრაში 7,716 დესეტინა ვენახია, [8]) შორაპნის მაზრაში—9,222 დესეტინა. [9]) საშუალოდ 250 ვედრო [10]) რომ ვიანგარიშოთ ერთ დესეტინაზე, ორსავე მაზრაში მოვა წელიწადში 4,204,500 ვედრო; ვედრო 1 მ. 50 კ. ფასობს; სულ შეადგენს 6,306,750 მანეთს.

როგორც ეს ციფრები გვიჩვენებენ, ორს ზემოხსენებულ მაზრაში მეღვინეობა-მევენახობას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. უკანასკნელ დრომდის მევენახობა ვითარდებოდა, მაგრამ ფილოქსერისა და სხვა სენის გაჩენის შემდეგ მეურნეობის ამ დარგმა თან და თან დაიქვეითა. იმერეთის ღვინოებმა დაჰკარგეს როგორც ტფილისისა, ისე ბათუმისა, ფოთისა და სხ. ადგილების ბაზრები. 1876 წლიდან მოკიდებული შორაპნის მაზრიდან რკინის გზით გატანილი ღვინო მატულობდა 1885 წლამდის და ეს მომატება 59,571 ფუთიდან 317,219 ფუთამდე ავიდა. 1885 წლიდან დაწყებული ღვინის გატანა კლებულობს და 1891 წელს მხოლოდ 90,224 ფუთი-ღა გატანილა. 1877—87 წლებში გატანილი ღვინო რომ 1886—93 წლებში გატანილს შევადაროთ, ვნახავთ, რომ უკანასკნელად 18⁰/₀-ით ნაკლები ღვინო გაუტანიათ [11]).

მე-80 წლებში იმერულ ღვინოს ტფილისის ბაზარზე ცოტას თხოულობდნენ, მე-90 წლებში-კი სულ აღარ.

### IV

#### რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები

რაჭის მაზრაში მეღვინეობა-მევენახობას დიდი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებთათვის. იგი კარგი შემოსავლიანი წყაროა რაჭველისა: გადასახადებს, როგორც სახელმწიფოს, ისე საერობოს, აგრეთვე ოჯახის მრავალ მოთხოვნილებას ღვინის შემოსავლით იკმაყოფილებს. თუმცა ზემო რაჭაში, ჰავა და ნიადაგი ხელს არ უწყობს ვაზის კულტურას, ვენახებს მაინც ბლომად შეჰხვდებით იქ. სახნავ სათესი სახელმწიფო გლეხებს ჰქონიათ 3255 დეს., ხოლო ვენახი 638 დ., ამ რიგად ვენახი იქ შეადგენს მთელის სახნავ-სათესის $1/_6$-ს.

სულ სხვას ვხედავთ შუაგულ რაჭაში, მეღვინეობის რაიონში.

სახელმწიფო გლეხთა ვენახების სივრცე რომ შევადაროთ სახნავ-სათესს, იგი ადის 18⁰/₀-22⁰/₀-მდე [12]). სარგებლობა მევენახობისა იქიდანაცა სჩანს, რომ ხშირად სახნავ-სათეს ადგილებს ვენახებად აქცევენ ხოლმე. მთელს რაჭაში 3000 დეს. ვენახია; [13]) ღვინის მოსავალი უდრის 600,000 ვედროს, რადგანაც დესეტინა ორთა შუა რიცხვით იძლევა 200 ვედროს. თითო ვედროს ფასი რომ ორი მანეთი ჩავაგდოთ, წლიური მოსავალი რაჭისა შეადგენს 1,200,000 მ.

რაჭაში მეღვინეობას ძალიან უშლის ხელს უგზოობა. ამას გარდა მიწის სიმცირეც დიდად შემავიწროვებელია მეღვინეობისა; ბევრგან მდებარეობაც უვარგისია. ყველა ამისდა მიუხედავად, მარტო იქ რომ გაშენდეს ვენახი, სადაც შესაძლებელია, და გაუმჯობესდეს ტეხნიკა, რაჭის ღვინო დიდ ბაზარს მოიპოვებს. მით უფრო შესაძლებელია ეს, რომ ამ მაზრაში საუცხოვო ღვინო მოდის.

ლეჩხუმის მაზრაში, როგორც სასტატისტიკო ცნობებიდანა სჩანს, [14]) 1875 წელს ითვლებოდა 1800 დესეტინა ვენახი, 1892 წ. კი 2129 დეს.; ამ ხნის განმავლობაში მოემატა 17⁰/₀. მეღვინეობას მცხოვრებთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს; იგია უმთავრესი წყარო ცხოვრებისა, რადგანაც სახნავ-სათესი ადგილი ლეჩხუმში ცოტაა და რაც არის, მდებარეობით ისიც გამოუსადეგარია.

ვაზის ავადმყოფობა გაძლიერებულია ლეჩხუმში, იგი დიდ ზარალს აძლევს მცხოვრებთ. არც ვენახის წამლობაა გავრცელებული. ნაწამლი ვენახი-კი ლეჩხუმში ერთი დესეტინა იძლევა 150-200 ვედროსა, ხოლო უწამლო 30—40 ვედროს. [15])

ლეჩხუმის ღვინო ღირსებით არ ჩამოუვარდება იმერულ და რაჭულ ღვინოებს. საზოგადოდ, ამ ორ მაზრაში (რაჭასა და ლეჩხუმში) ძალიან კარგი ღვინო მოდის. განთქმულია განსაკუთრებით ალექსანდრეულის ღვინო. იგი თავ კახურ ღვინოსაც არ ჩამოუვარდება [16]).

ერთი დესეტინა ვენახი ლეჩხუმში ორთა შუა რიცხვით იძლევა 150 ვედროს; ვედრო ფასობს 1 მ. 50 კ. ამ რიგად მთელი მოსავალი—319,350 ვედრო შეადგენს 479,055 მანეთს. ერთი მესამედი და მეტიც ამ მოსავლისა გააქვთ ქუთაისისა და ხონის ბაზრებზე. ეს ერთი მესამედი ყოველ წლიურად ლეჩხუმის მაზრას მოუტანს 150,000 მანეთს, მაგრამ ამ ფულს ლეჩხუმი ჰკარგავს ვაზის უწამლობისა გამო. ლეჩხუმი პატარა მაზრაა, სულ იქ (უსვანეთოდ) 4845 მოსახლეა. ზემოხსენებული დანაკლისი დიდისაგან-უდიდესად უნდა ჩაითვალოს. ვენახის წამლობა, სხვა პირობებს გარდა, იმითაც უძნელდებათ, როგორც რაჭველებს, ისე ლეჩხუმელებს, რომ ქუთაისზე დაშორებულნი არიან და წამლების და იარაღების მოტანა ძვირად ჯდება. 1895 წელს შაბიამანი, ისიც ნახევრად რკინის მარილებში არეული, ორჯელ უფრო ძვირად ჰფასობდა, ვიდრე ქუთაისსა და ზესტაფონში. [17]).

(დასასრული იქნება)

[8]) „Винод. въ Россіи“, თავ. მასალსკისა.

[9]) იქვე.

[10]) იხ. „Кавк. Сельск. хоз“., 1901 წლისა, 25 ოქტ. „Наше виногр. хозяйст“., ვ. ა. სტაროსელსკისა.

[11]) „Сб. св. по виногр. и винод. на Кав.“, вып. III; „Виноделіе въ Имеретіи“, ე. ი. ვაწაძისა.

[12]) „Сб. св. по виногр. и винод. на Кавк.“, вып. III, გვ. 39.

[13]) იქვე.

[14]) „Сб. по виногр. и винод.“ вып. III, 96 г. გვერდი 81.

[15]) იხ. „Вѣстникъ Виноделія“, 96 წ. № 1. თავ. ერ. ნაკაშიძისა.

[16]) შემთხვევა გვქონდა და გავსინჯეთ ალექსანდრეულის ღვინო თავ. ი. დ. გელოვანის მამულისა და მართლაც საუცხოო გამოდგა. დიდად ვწუხვარ, რომ აქ ვერ მომყავს ამ ღვინის ანალიზი.

[17]) იხ. „Вѣст. Винод.“, 1898 წლისა, კორესპონ. ლეჩხუმიდან თავ. ერმ. ნაკაშიძისა.

ხორცი, სულ მშლე და უვარგისია. ვინ იცის, იქნება ჭირიან საქონელსაც ჰკლავენ. ვერავინ ვერაფერს გაიგებს, რადგან ხაშურში ბეითალი არ არის, რომ გასასყიდი ხორცი გაშინჯოს. ამას გარდა ხაშურელი ყასბები არავითარ ნიხრს არ აქცევენ ყურადღებას, ვისაც როგორა ჰსურს, ისე ჰყიდის ხორცსა.. ზოგან ცხრა კაპეიკად ჰყიდიან გირვანქასა, ზოგან ორ შაურად და ზოგან უფრო მეტადაც. გირვანქა სუკს ჰყიდიან სამ შაურიდან თვრამეტ კაპიკამდე. თუ სიტყვა შეუბრუნე ყასაბს და უთხარი, ხორცი არ ვარგაო, მაშინვე თავ-პირში გთხლეშავს და გაგლანძღავს კიდეც.

ძალიან შეწუხებულნი ვართ უვარგისის ხორცით და კარგი იქმნება, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

ვ. ი. რ—ძე.

## წერილი ბათუმიდან

უფასო სახალხო სამკითხველო.—დაკეტვა ამ სამკითხველოსი მთავრობის მიერ.—კვლავ გახსნის საჭიროება.

არსად წიგნთ-საცავი და სამკითხველო ისე საჭირო არ არის, როგორც ბათუმში. ბათუმი ზღვის პირად მდებარეობს და ცოცხალი ქალაქია; იგი სავსეა წიგნის კითხვის მოსურნე მუშებით და ამიტომ დიდი ხანია საჭიროებდა სამკითხველოს. დარიბმა ქართველმა ინტელიგენციამ ყური არ მოიყრუა, ხელი მოჰკიდა საქმეს და პატივცემულ მარიამ მხეიძის მეთაურობით სამის წლის წინად ბათუმში სახალხო სამკითხველო-წიგნთ-საცავი დაარსდა. ინახებოდა იგი შემოწირულებებითა, წარმოდგენების შემოსავლით და საწევრო ფულით. სამკითხველო მოათავსეს ქალაქის შენობაში, რომელიც თვით-მმართველობამ უსასყიდლოდ დაუთმო. ქალაქის საბჭომ ამას გარდა ადგილიც დაუთმო შუაგულ ქალაქში საკუთარ შენობის ასაგებად.

საქმე გაჩარხული იყო; შეგროვილ თანხას არაფერს აკლებდნენ, რადგანაც შენობა უნდა აეგოთ. ხარჯი ცოტა ჰქონდათ: საწევრო შემოსავლითა და წარმოდგენების შემოსავლით უპირებდნენ დაფარვას. საზოგადოება თანაგრძნობით ეპყრობოდა და სწირავდა ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს, რა კი ჰხედავდა, რომ დიდ-ძალი ხალხი აწყდებოდა. მკითხველთა რიცხვი დღეში 200-მდე ადიოდა, რაც იშვიათ მოვლენას შეადგენს დიდ-ქალაქებშიაც კი. მკითხველთა უმეტესობას ქართველნი და რუსნი შეადგენდნენ, თუმცა არც სომხები და ბერძნები აკლდნენ. ასეთ ცოცხალსა და სიმპატიურს საქმეს ცოცხლადა და მხნედ უნდოდა ხელის მოკიდება. სამწუხაროდ, სამკითხველოს გამგე-კომიტეტმა ვერ გამოიჩინა ფხა. კომიტეტს მას შემდეგ, რაც სამკითხველო დაარსდა, საზოგადო კრებაც კი არ მოუწვევია, არ შეუგროვებია საწევრო ფული, არ გაუმართავს წარმოდგენები და არავითარი საშუალება არ უხმარია სამკითხველოს ნივთიერად გაღონიერებისათვის. უმთავრესი კი ის არის, რომ მარიამ მხეიძის ბათუმიდან წასვლის შემდეგ კომიტეტმა არ იზრუნა და იმის მაგიერ სხვა პასუხის-მგებელი არ ამოარჩია.

შედეგად ყველა ამას ის მოჰყვა, რომ წევრებმა გული აიცრუეს სამკითხველოზე და საწევრო ფული აღარ შემოიტანეს. ის ფული, რომელსაც კომიტეტი სახლის ასაშენებლად ინახავდა, ნელნელა დაიხარჯა, და ისე გაჭირდა საქმე, რომ კომიტეტმა სუბსიდიისთვის მიჰმართა ქალაქის თვით-მმართველობას. საიმედო იყო, რომ საბჭო დახმარებას აღმოუჩენდა, მაგრამ თვითონაც უბედურება ეწვია: ჩამოართვეს „საფუთო“ გადასახადი. ბოლოს მთავრობამ რევიზიის შემდეგ სულ დახურა სამკითხველო, რადგანაც კანონიერი პასუხის-მგებელი არ აღმოჩნდა. ამ რიგად გამგე-კომიტეტის უზრუნველობით დაიკეტა სამკითხველო და იმ 200 კაცმა, რომელნიც ყოველ-დღე ეწაფებოდნენ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს, დაჰკარგეს კითხვის საშუალება.

იმედი გვაქვს, რომ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გასტანს და მთავრობა ხელ-ახლა ნებას დართავს სამკითხველოს გახსნისას. მაშინ, იმედია, გამგე-კომიტეტი წარსულ მაგალითს აღარ მიჰბაძავს და მხნედ გაუძღვება საქმეს.

—თნ—ლიძე

### წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ თქვენს გაზეთში დაუთმოთ ადგილი ამ მცირე წერილს.

ქუთაისში ხმა გავრცელდა, ვითომც მე მსურდეს ქალაქის მდივნის თანამდებობაზე კენჭი ვიყარო, და ამ ხმებს რაღაც საეჭვო-ლარი კომენტარიებიც თანა სდევს. ამიტომ ნება მომეცით გამოვაცხადო, რომ მე მდივნობაზე ყუთის დადგმა აზრადაც არ მომსვლია და არც ვიცი, რომელი წყაროდან ვრცელდება ეს ხმები. დარწმუნებულიც რომ ვიყო, უთუოდ ამომირჩევენთქო, მაშინაც არ დავიდგამდი ყუთს იმ თანამდებობაზე, რომელსაც გამოცდილებითაც და ცოდნითაც ჩემზედ უკეთესები დაეძებენ.

დავით ბაქრიანი

## უცხოეთის წვრილი ამბები

**დედოფალი ჟოზეფინა და სულთანის მეუღლე, სულთანის აბდულ ჰამიდ მეორის დიდედის დედა.** ორივე ესენი კუნძულ მარტინიკიდან იყვნენ. საყურადღებოა იმათი თავ-გადასავალი და ბედ-იღბალი. ჟოზეფინა, ბონაპარტის მეუღლე და საფრანგეთის დედოფალი, იყო ბიძაშვილი დიუბიუკ დე რივერისა, რომელიც ბოლოს დროს შეიქნა უსაყვარლესი მეუღლე აბდულ ჰამიდ პირველისა. ჟოზეფინა ტაშერი თვალ წარმტაცი მშვენიერება იყო, იმან შეირთო ვიკონტი ბოგარნე, როდესაც ჯერ კიდევ ჩვიდმეტის წლისა არ იყო. მაშინ იმისი ქმარი გაგზავნილი იყო ამერიკელების საშველად, რომელნიც იბრძოდენ დამოუკიდებლობისათვის. ჯვარის დაწერის შემდეგ ბოგარნე, რომელიც დეპუტატად ამოირჩიეს, პარიზში გადმოსახლდა თავის ცოლით. აქ ბოგარნე არეულობის მსხვერპლი შეიქნა. იმისი მეუღლე დიდ-ხანს არ დარჩენილა ქვრივად, ის შეუყვარდა გენერალ ბონაპარტეს, და ჟოზეფინამ, როგორც ჭკვიანმა და შორს გამჭვრეტმა დედაკაცმა, შეირთო ის. ჟოზეფინას ბიძაშვილი დიუბიუკი დაიბადა მარტინიკაზე 1766 წელს. როდესაც ის ცხრა წლისა შესრულდა, მშობლებმა გაგზავნეს სასწავლებლად პანსიონში ქალაქ ნანტში, სადაც ის 1774 წლამდის დარჩა და თვრამეტის წლისა შეიქნა. სწავლის გათავების შემდეგ დიუბიუკი ერთი ქალის თანხლებით ხომალდით გაემგზავრა თავის სამშობლოში—კუნძულზე. იმისი დის ქმრის წერილიდანა სჩანს, რომ დიუბიუკი ყოფილა გასაშტერებელი მშვენიერება, რომელსაც კეკლუცი ფრანგის ქალის ყოველი ძვირფასი თვისება ჰქონია· ამ მშვენიერი ქალის მოგზაურობა ქალაქ ნანტიდან კრნძულ მარტინიკაზე ძალიან სახიფათო გამოდგა. ზღვა საშინლად ღელავდა და ხომალდი კი, რომელსაც ამ კეკლუცმა ქმნილებამ თავისი სიცოცხლე ანდო, ძველი იყო და დანგრეული; შუა გზაში ხომალდში წყალმა დენა დაიწყო, და მგზავრებს განსაცდელი ელოდათ. როდესაც შიშისაგან ზარდაცემულმა მგზავრებმა არ იცოდენ, როგორ გადარჩენილიყვნენ დაღუპვას, ამ დროს იმათ, საბედნიეროდ, წამოეწიათ მეორე ხომალდი, რომელიც მარტინიკაზე მიდიოდა, ამ ხომალდმა თავისთან გადასხა დაზიანებული გემის მგზავრები და გაუდგა გზას. კარგა მანძილი რომ განვლეს, ხომალდს ალჟირელი მეკობრეები (ზღვის ავაზაკები) დაეცნენ, მთელი გემზე მყოფი ხალხი ტყვედ წაიყვანეს და ალჟირის ბაზარში მიიყვანეს, სადაც ისინი დაჰყიდეს მონებად. მშვენიერი დიუბიუკი იყიდა თვით ალჟირის მმართველმა. ეს მმართველი ისე მოხიბლა ქალის სიმშვენიერემ, რომ არც კი იკითხა, საიდან და როგორ მოჰყვა ქალი მონების ბაზარში. მმართველი შორს გამჭვრეტი კაცი აღმოჩნდა; წყურვილი რომ მოიკლა თავის მონის სიმშვენიერის ცქერით, გადასწყვიტა, რომ ეს ფასდაუდებელი მარგალიტი უნდა ინახებოდეს ყოვლად შემძლე მბრძანებელის აბდულ ჰამიდ პირველის ჰარამხანის სასახლეშიო. ერთს მშვენიერს დღეს ალჟირის მმართველი ჩაჯდება ხომალდში თავის მშვენიერის მონათი და მოვა სტამბოლს, სადაც ქალი სამუდამოდ დარჩება.

ამისთანა ძღვნების და საჩუქრების მირთმევა იმ დროში ძალიან მიღებული იყო. მეთვრამეტე საუკუნეში სულთანის ცოლობა შეეძლოთ იმის რჯულზე გადასულ ქრისტიანების ქალებს და ზოგიერთ სპარსელ და სირიელ ქალებს; მხოლოდ ოსმალელ ქალებს არ შეეძლოთ სულთანის ცოლობა, რადგანაც იმათი მონად გახდომა არ შეიძლებოდა, სულთნების შთამომავლობა კი, იბრაჰიმ პირველის დროიდან, განსაკუთრებით მონა ქალებისგან მომდინარეობს. კეკლუცი დიუბიუკი დიდებულს ცხოვრებაში ჩავარდა, მაგრამ მოწყენილი კი იყო.

იმისი მბრძანებელი მძიმე ხასიათის კაცი იყო და მთელ თავისუფალ დროს ყორანის გადაწერას ანდომებდა. მაგრამ დიუბიუკის სიმშვენიერემ და სინორჩემ თავისი გაიტანა: მალე ის შეიქნა უსაყვარელესი მეუღლე სულთანისა, რომელმაც დააფასა იმისი ჭკუა და რომელსაც ყოველთვის რჩევას ჰკითხავდა ხოლმე. აბდულ ჰამიდის სიყვარულმა ამ ქალისადმი 1774 წლიდან 1789 წლამდე გასტანა. დიუბიუკის შვილი, მაჰმუდი, გამეფდა 1808 წელს, მუსტაფა მეოთხის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ამ ხნის კარგა წინად, სულთანის სელიმ მესამის მმართველობის დროს, რომელიც ტახტზე ავიდა აბდულ-ჰამიდ პირველის სიკვდილის შემდეგ, დიუბიუკმა, რომელიც სულით და გულით ფრანგის ქალად დარჩა, დიდი საქმე მოახდინა პოლიტიკაში 1807 წელს: ამბობენ, რომ მხოლოდ იმისი გავლენის წყალობით კონსტანტინეპოლის მთავრობამ უარჰყო ინგლისის წინადადება,—რომ იმას კავშირი შეეკრა ნაპოლეონის წინააღმდეგ. მაჰმუდმა შედარებით ძალიან კარგი განათლება მიიღო თავისი დედის წყალობით.

საფრანგეთის დედოფლის ჟოზეფინას ცხოვრებამ, უეჭველია, უფრო ბრწყინვალედ ჩაიარა, მაგრამ ბოლოს დროს, შესაძლებელია, უფრო ნაკლებად იყო ბედნიერი, ვიდრე დიუბიუკის ცხოვრება სულთანის სასახლეში. ჟოზეფინა გაჰქრა ყველასაგან მიტოვებული, შეურაცხყოფილი და გვირგვინ-მოხდილი, მაშინ როდესაც იმისი ბიძაშვილი, ყველასაგან პატივცემული ქვრივი სულთანისა, გარდაიცვალა 1819 წელს თავის შვილის მკლავზე, ყველა მისს ერთგული და მოყვარული ხალხისგან დიტირებული.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ივლისი

**პეტერბურგი.** 17 ივლისს პეტერბურგში მოვიდნენ: ჩინეთიდან საფრანგეთის ელჩი ბო, რომელიც დანიშნულია ინდოეთ-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორად, და საფრანგეთის ჯარების უფროსი ჩინეთში გენერალი სუსილიონი, რუსეთის სამხედრო აგენტი ჩინეთში გენერალ-მაიორი ვოგაკი და ელჩი ტიანძინში პოპპე.

**კიევი.** ძმათა ბროდსკებმა შესწირეს 125,000 მანეთი, რათა დაარსონ კიევში ებრაელთათვის ორ-კლასიანი სასწავლებელი სახელოსნო განყოფილებით, აგრეთვე შეიძინეს ადგილი ნახევარი დესიატინა, 70,000 მანეთად ღირებული და კისრულობენ სასწავლებლის მოწყობის ხარჯს—15,000 მანეთს.

**მოსკოვი.** ხელოსანთა ურთიერთ დამხმარებელმა საზოგადოებამ დაადგინა გამართოს ხოლმე სასეზონო საქონლის გამოფენა. გამოფენასთან იქნება ბიურო, სადაც მიიღებენ შეკვეთას.

**ტრიპოლი.** დღეს აქედან გავიდა იტალიის ესკადრა ტრიპოლის სხვა ნავთ-სადგურების დასათვალიერებლად.

**სოფია.** კრებამ დაამტკიცა გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.

**ლონდონი.** ბალფურმა აუწყა დეპუტატთა პალატას, რომ სამხედრო საქმეების გამო დანიშნულ საგამოძიებლო კომისიის თავმჯდომარედ, როგორც სჩანს, ლორდი ელჯინი იქნებაო. *)

18 ივლისი

**პეტერბურგი.** ჩამოვიდა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათ' მინისტრი ა. ს. ერმოლოვი.

17 ივლისს იაპონიის პრინცი კომატსუ ეტლით სეირნობდა კუნძულებზე.

**პორტ არტური.** პორტ-არტურში რამდენიმე ჩინელი და რუსი მოკვდა ხოლერისაგან; მიღებულია ღონისძიებანი, რომ საშიშარი სენი არ გავრცელდეს.

**კიევი** 400-მდე თხოვნა შემოიტანეს უნივერსიტეტში შესვლის მსურველებმა; პოლიტეხნიკუმში 850-მდე თხოვნა შემოიტანეს, მათ შორის 300 თხოვნა გამორიცხულ სტუდენტებისაგანაა.

**კონსტანტინეპოლი.** სერბიის არხიეპისკოპოსისა, რუსეთის რწმუნებულის შჩერბაჩევისა და მსოფლიო პატრიარქის მოთხოვნის თანახმად, გაგზავნილ იქმნა ჯარი, რომელთაც დახმარება უნდა აღმოეჩინა სერბიელთა მონასტრისათვის, რადგან მისთვის ალბანელებს ალყა შემოერტყათ; ჯარმა მონასტერს ვერ უშველა და ალბანელები ვერ მოაშორა.

**პეტროზავოდსკი.** წვიმიანი და ცივი ამინდი ხელს უშლის თივას და ჭვავისა და ცაზაფხულის ნათესობის მოსვლას. იმედი აქვთ, რომ მოსავალი საშუალოზე ცოტა მეტი იქნება.

**ლონდონი.** ბიულეტენი: „მეფე ბევრად უკეთ არის ეხლა. ჭრილობაც ურჩება. მეფეს ეხლა დაუხმარებლად შეუძლიან სიარული“. შემდეგი ბიულეტენი გამოცხადებული იქნება 7 აგვისტოს (25 ივლისს).

**ომსკი.** სამხედრო სამმართველომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა პატიმარს პეტუნკოს, რომელმაც საპატიმროს ზედამხედველი მოჰკლა. დასჯა—ორის დღით გადასდვეს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** იარმუკის გამგეობამ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ ამა წლის შეცვლილ იქნას ის გადასახადი, რომელსაც იარმუკას აწერენ. სახაზინო, საერობო ქალაქისა და იარმუკის გადასახადი სულ 800,000 მანეთამდი იქნება.

**პეტერბურგი.** 18 ივლისს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა კრეისერი „სიგნეტვარი“, რომელიც კრონშტადტის რეიდზე იდგა.

**ლონდონი.** გაზეთ. „ტაიმს“-ს ატყობინებენ შანხაიდან, რომ ჩინელებს ჯერ დაუმთავრებლად მიაჩნიათ მოლაპარაკება ინგლისთან სავაჭრო ხელ-შეკრულობის მე-10 მუხლის შესახებ. მეფის ორივე მოადგილე ამ მუხლის შეცვლას თხოულობენ. შენგი თხოულობს, რომ ეს საქმე წარუდგინოს დამოჯნის უფროსს გარტს. საკითხს გაარჩევენ ხვალ კომისართა კრებაზე.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ატყობინებენ შანხაიდან, რომ სადამოჟნო ტარიფის განხილვა ჩინეთსა და რვა სახელმწიფოთა შორის დასრულებულია. რუსეთს, იტალიას, ესპანიას და პორტუგალიას განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ ისინი წინააღმდეგობას არ გაუწევენ ახალ ტარიფს, რომელიც მხოლოდ ყველა სახელმწიფოთა დათანხმების შემდეგ შევა ძალაში.

**პეტრო-ზავოდსკი.** სახალხო სკოლების ინსპექტორების კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს ერობის წინაშე გახსნას მაზრებში შვიდი სკოლა და, პეტროზავოდსკის დაარსებიდან 200 წლის შესრულების აღსანიშნავად, დააარსოს სახალხო მასწავლებელთა შვილებისათვის თავშესაფარი.

**ბერლინი.** ჩამოვიდა გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი და დაათვალიერა სიმენს და ჰალსკეს საზოგადოებისაგან გაკეთებული ელექტრონული რკინის გზა.

**ვენა.** რუმინიის მეფე ვენაში ჩამოვა 2 აგვისტოს (20 ივლისს) და 3 აგვისტოს ინფას გაემგზავრება, სადაც ავსტრიის იმპერატორს ინახულებს.

**ბუქარესტი.** სამინისტრო შესდგა იმ პირთაგან, რომელნიც გუშინ იყვნენ მოხსენებულნი; დღეს ფიცი მიიღეს; გაზეთები კმაყოფილებას აცხადებენ.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ გადასდო 250,000 გირვანქა სტერლინგი, რომელიც ჩემბერლენმა მოითხოვა ვესტ-ინდოეთის შაქრის მრეწველობისათვის. ჩემბერლენმა განმარტა და სთქვა, პრემიების გაუქმების შემდეგ ვესტ-ინდოეთი შესძლებს ამ წარმოების განგრძობას, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ შეუძლიან იმის განგრძობა, თუ მთავრობა შემწეობას არ აღმოუჩენსო.

*) ყველა ზემოდ დაბეჭდილი დეპეშები ტელეგრაფმა დაავვიანა.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**


# განცხადებანი

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

**ტფილი გოგირდის აბანო**

## „ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37$^{5}/_{0}$ ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (ხანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

ახალი წიგნი

## ფიზიოლოგია

დ-რი ფოსტერისა

სურათებით

ფასი 25 კ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

## ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფილი სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ახალი წიგნი

## შ. არაგვისპირელი

წიგნი მეორე

ფასი 40 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.


Дозв. ценз. Тифлисъ, 19 Іюля, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).